



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №198

2016 წლის 29 სექტემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მალხაზ ჯაჭვადის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №72.08.16.328), მეფრინველეობის ფერმის მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილების 21-ე და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მალხაზ ჯაჭვადის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.08.16.328.) მეფრინველეობის ფერმის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის №155 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 27 სექტემბრის №08/2/1189 მომართვის საფუძველზე,

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე, მოქალაქე მალხაზ ჯაჭვადის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №72.08.16.328), მეფრინველეობის ფერმის მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტები“ თანდართული პროექტის შესაბამისად (II ეტაპი). (დანართი: „მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წეროვანი, მოქ. მალხაზ ჯაჭვადის საკუთრებაში მყოფი №72.08.16.328 საკადასტრო ერთეულის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი“).
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი